სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

02 აგვისტო, 2024 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს

გადაწყვეტილება N 07-01/48

,,ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის N111 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების განათლების ხელშეწყობის **თაობაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან 2021 წლის თებერვალში გაფორმებულ მემორანდუმის და ამ მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების გაფორმებაზე ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობის** შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 02 აგვისტოს N07-01/47 გადაწყვეტილების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილის (01/08/2024, MES8240000933255), **რექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის** (N01/08/2024 *MES3240000934628), წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმისა N07-02/07, 02.08.2024 და რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ,

გადაწყვიტა:

1. ,,ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს **წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში** შევიდეს ცვლილება, კერძოდ, N1 დანართში (წესი) **მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. სამხედრო მოსამსახურისა და მისი ოჯახის წევრის (მეუღლე, შვილი) განათლების ხელშეწყობის მიზნით, ბსუ-ს აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი უმაღლესი

საგანმანათლებლო პროგრამების) **სტუდენტს** ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **ბრძანებით ენიჭებათ შეღავათი** (თავისუფლდებიან) ბსუ-ში სწავლის სემესტრული **საფასურის 50 %-ის ოდენობით,** მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე (დაბადების მოწმობა, ქორწინების სარეგისტრაციო მოწმობა, ცნობა დასაქმების ადგილიდან და სხვა). მომდევნო სემესტრებში სწავლის საფასურის გადახდაში შეღავათის მინიჭების თაობაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება გამოიცემა ყოველ სემესტრში, სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განახლებული ინფორმაციის (ცნობა დასაქმების ადგილიდან) საფუძველზე.“.

2. წინამდებარე გადაწყვეტილებით შეტანილი ცვლილება ამოქმედდეს სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების განათლების ხელშეწყობის თაობაზე **საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან 2021 წლის თებერვალში გაფორმებულ მემორანდუმში ცვლილების შეტანის** თაობაზე შეთანხმების გაფორმებისთანავე და გავრცელდეს 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან გადასახდელ სწავლის საფასურზე.
3. წინამდებარე გადაწყვეტილების გათვალისწინებით იურიდიულმა დეპარტამენტმა მოამზადოს სწავლის საფასურის გადახდის წესის **კოდიფიცირებული ვერსია** და წარადგინოს ბსუ-ს იურიდიულ ცნობარში და სტუდენტთა გზამკვლევში განთავსებისათვის.
4. გადაწყვეტილება და სწავლის საფასურის გადახდის წესის **კოდიფიცირებული ვერსია** გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და პორტალზე, ასევე ფაკულტეტების ადმინისტრაციამ აცნობოს შესაბამის სტუდენტებს.
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**